პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

„ელექტროობა“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: ელექტროობა/ Electricity

ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: 07313-3

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში / Basic Vocational Qualification in Electricity;

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ელექტროტექნიკა და ენერგია - კოდი 0713. აღმწერი - „შეისწავლის სამრეწველო და კომერციულ საწარმოებში, ასევე საყოფაცხოვრებო პირობებში ელექტრო გაყვანილობისა და ელექტრომოწყობილობების მონტაჟს, ექსპლუატაციას, შეკეთებასა და ხარვეზების დიაგნოსტიკას. მოიცავს მიწისქვეშა და მიწისზედა ელექტროგაყვანილობის სადისტრიბუციო ქსელების მონტაჟსა და ექსპლუატაციას. ენერგია შეისწავლის ენერგიის გენერირებას“.

მიზანი - პროგრამის მიზანია, შრომის ბაზრისათვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება დაბალი ძაბვის ელექტროობაში.

დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები - ელექტროობის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად: ელექტრიკოსად; ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟედ; შენობის ელექტრიკოსად; მომმარაგებელ-ელექტრიკოსად; ელექტრო-მექანიკოსად; ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟედ; განათების სისტემების მემონტაჟედ; ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟედ; დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟედ; ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟედ; ასაფრენ-დასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟედ; მზის ენერგიის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟედ.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 35.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7411; 7412; 7413.

სტრუქტურა და მოდულები

პროგრამა მოიცავს 4 ზოგად მოდულს ჯამური 10 კრედიტის ოდენობით, 4 საერთო პროფესიულ მოდულს 14 კრედიტის ოდენობით და 6 პროფესიულ მოდულს ჯამური 28 კრედიტის ოდენობით.

მოდულის „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლების შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 52 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 35 კვირა
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 67 კრედიტი

➢ პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 45 კვირა

№	საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის ზოგადი მოდულები	კრედიტი
1	უცხოური ენა - ინგლისური	4
2	მეწარმეობა 1	2
3.	პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1
4.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
	ჯამი:	**10**
№	**საერთო პროფესიული მოდულები - საბაზო**	**კრედიტი**
1.	გაცნობითი პრაქტიკა ელექტროობაში	2
2.	საინჟინრო ხაზვა	4
3.	ელექტრული და ელექტრონული პრინციპები	4
4.	კომუნიკაცია ელექტროობის სფეროში	4
	ჯამი:	14
№	**პროფესიული მოდულები**	**კრედიტი**
1.	ჯანმრთელობა და უსაფრთოება ელექტროობაში	4
2.	ელექტრული ტექნოლოგია	4
3.	ელექტრული მანქანების თვისებები და გამოყენება	4
4.	ელექტრული მონტაჟი	4
5.	მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის	4
6.	საინჟინრო პროექტი	8
	ჯამი:	**28**
	სულ:	**52**

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. გაუწიოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება;
2. გამოიყენოს ელექტრული ტექნოლოგიები, ელექტროობის წარმოების, გადაცემისა და განაწილების საშუალებები;
3. დაამონტაჟოს და შეამოწმოს განათება და ელექტრული წრედები საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში;
4. მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით;
5. გამოთვალოს ფიგურათა მოცულობა, ფართობი და გამოიყენოს მონაცემთა გამოსახვის სტატისტიკური მეთოდები;
6. წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით;
7. შექმნას და წარადგინოს პროექტი.